

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

<p>პროგრამის სახელწოდება საფეხური აკადემიური ხარისხი სამინისტროს მიერ მინიჭებული კოდი სწავლის ხანგრძლივობა პროგრამის ხელმძღვანელი</p>	<p>ბიოლოგია ბაკალავრიატი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბაკალავრი ბიოლოგიაში 07103 ოთხი აკადემიური წელი (240 კრედიტი) ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი თამარ ნადირაძე</p>
<p>პროგრამის მიზანი</p>	<p>ბაკალავრიატის პროგრამა ბიოლოგიაში უზრუნველყოფს ცოცხალი ორგანიზმების აგებულების და მათში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების შესწავლას და კვლევის მეთოდოლოგიაში საბაზისო განათლების მიღებას. გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს, სტუდენტებს განუვითაროს პრაქტიკული კვლევის ჩატარების ჩვევები ბიოლოგიაში.</p>
<p>პროგრამის შედეგი</p>	<p>ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს, რომელსაც მიენიჭება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიოლოგიაში, ექნება საბაზო ცოდნა ცოცხალ ორგანიზმთა მრავალფეროვნების, მათ მიერ წარმოქმნილი რთული სისტემებისა და ბიომრავალფეროვნების, ცოცხალი ორგანიზმების აგებულების და მათში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების, ბიოლოგიური ტერმინოლოგიის და ბიოლოგიური კვლევის მეთოდების შესახებ, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და მარტივი პრაქტიკული კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვის და ჩატარების უნარი. შეძლებს ჩაერთოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, უზრუნველყოს ბიოლოგიის სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტისათვის ახალი კვლევის მეთოდების მოძიება, შეაგროვოს და დაამუშაოს მონაცემები თანამედროვე ანალიტიკური მეთოდების და სპეციალური კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. შეძლებს, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები თავისი დარგის სპეციალისტებთან, ჩაერთოს კვლევით პროექტებში, მოამზადოს და გამოაქვეყნოს სამეცნიერო სტატია. ბაკალავრიატის კურსდამთავრებული შეძლებს, სწავლა გააგრძელოს სწავლების შემდგომ საფეხურზე მაგისტრატურაში.</p>
<p>სწავლების ფორმატი</p>	<p>ლექცია, პრაქტიკული, სემინარი.</p>
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>ბიოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება შრომითი საქმიანობის დაწყება ყველა იმ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ზოგადი კვალიფიკაციის ბიოლოგს საჭიროებს. მისი მოღვაწეობის ძირითად ობიექტებს კი წარმოადგენს სამედიცინო და კვების მრეწველობის დარგის საწარმოების ლაბორატორიები, გარემოს დაცვითი ორგანიზაციები, ბოტანიკური და ზოოლოგიური პარკები.</p>
<p>თანამშრომლობა / პარტნიორები</p>	<p>ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალი. ბაწარა ბაბანეურის ნაკრძალი.</p>